

აგროდაქრედიტების ძირითადი თავისებურებები

აგროკრედიტის ხელმისაწვდომობა სოფლის მეურნეობის განვითარების აუცილებელი პირობაა. საკრედიტო დაწესებულებებისთვის აგროდაქრედიტება დაჯავშირებულია გარკვეულ სიძნელეებთან, განსაკუთრებით გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, სადაც ფინანსური ბაზარი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია.

საჭიროა მათი გადალახვა სათანადო მეთოდების, პროცედურებისა და პრინციპების გამოყენებით მთელი სასესხო ციკლის განმავლობაში, ანუ, განმცხადებელთან პირველი შეხვედრიდან გადახდამდე და მომდევნო მოქმედებამდე. განვიხილოთ სფეროები, რომლებსაც მოაქვს წარმატება აგროდაქრედიტებისათვის:



თამარ მარიაანი
სსაუ, დოქტორანტი

1) აგრობაზრების ცოდნა – აგროსექტორის ამომწურავი ცოდნა საფერმომ მეურნეობებზე წარმატებული სესხების გაცემის ძირითადი წინაპირობაა. მოსავლის ბაზრების, წარმოების მეთოდების და აგროპროდუქციაზე მოქმედი გარე ფაქტორების გაგება გადამწყვეტია პოტენციური მსესხებლის შემოსავალსა და შესაძლო რისკებზე ინფორმაციის მოპოვებისთვის. ეს არა მარტო ეხმარება უკეთესი პროდუქციის შემუშავებაში, რომელიც პასუხობს მომხმარებელთა მოთხოვნებს, არამედ, ეხმარება სესხის უკეთეს შეფასებაში და, შესაბამისად, სასესხო პორტფელის ხარისხის გაუმჯობესებაში.

ცალკეულ რეგიონში აგრომოღვაწეობის თავისებურებების შესახებ ინფორმაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან სიტუაცია შეიძლება იცვლებოდეს რეგიონის მიხედვით.

2) აგროსესხის ციკლის ძირითადი ელემენტები – ურთიერთობა მსესხებელსა და საფინანსო დაწესებულებებს შორის განისაზღვრება იმ ფაქტით, რომ სასესხო განაცხადის ჩაბარებიდან სესხის სრულ დაფარვამდე არსებობს დროის მონაკვეთი. სესხის ასეთი განსაკუთრებული ხასიათის გამო, როდესაც ფული გაიცემა დღეს და სანაცვლოდ მიიღება მომავალი დაფარვის დაპირება, აუცილებელია მორალური რისკის კონტროლირება მსესხებელსა და საკრედიტო დაწესებულებებს შორის. ეს ხორციელდება კრედიტის გაცემის სხვადასხვა ეტაპებზე და მიზნად ისახავს სასესხო გადაწყვეტილებისთვის საკმარისი ინფორმაციის მიღებას და მომავალში სათანადო მოქმედებების ჩატარებას, რათა უზრუნველყოფილი იყოს სესხის დროული დაფარვა. ამ სხვადასხვა ეტაპებს სასესხო ციკლი ეწოდება.

აგროკრედიტის სასესხო ციკლი, მსგავსად სხვა მიზნობრიობის სესხებისა, შეიცავს შემდეგ ნაბიჯებს:

- სასესხო განაცხადი;
- კლიენტთან ადგილზე ვიზიტი;
- სესხის დეტალური შეფასება;
- საკრედიტო კომიტეტის გადაწყვეტილება;

- სესხის გაცემა;
- მონიტორინგი დაფარვის პერიოდში და საჭიროების შემთხვევაში სესხის დფარვასთან დაკავშირებული პრობლემების დროული გადაჭრა;
- სესხის საბოლოო დაფარვა.

თუმცა, სასესხო ციკლის დაწყებამდე საჭიროა მონაცემების გაფილტვრა – მნიშვნელოვანია, რომ სასესხო ციკლი გაიხსნას მხოლოდ იმ კლიენტებისთვის, ვისაც კარგი წარმოების პოტენციალი გააჩნია (აქედან გამომდინარე, გადახდის შესაძლებლობაც და შესანიშნავი კრედიტუნარიანობა). შესაბამისად, საფინანსო დაწესებულებამ უნდა მოიზიდოს მხოლოდ „კარგი კლიენტები“ და, სასესხო განაცხადის ჩაბარებამდე ამავედროულად, მოხდეს სუსტი პოტენციალის მქონე კლიენტების გაფილტვრა.

განვიხილოთ სასესხო ციკლის სხვადასხვა ეტაპები, მას შემდეგ, რაც ინდივიდუალური პირი მიმართავს საფინანსო დაწესებულებას თხოვნით სესხის გაცემაზე.

სასესხო განაცხადი – მოიცავს საკრედიტო ოფიცრის დახმარებით მსესხებლის მიერ განაცხადის ფორმის შევსებას. ხანდახან ეს ეტაპი ემთხვევა პირველ ვიზიტს კლიენტთან და საკრედიტო ოფიცერი ავსებს განაცხადის ფორმას მსესხებლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. იდეალურ შემთხვევაში, საკრედიტო ოფიცერი მიიღებს სასესხო განაცხადს და პირდაპირ დაამუშავებს მას, რათა მიიღოს გადაწყვეტილება – დაუნიშნოს კლიენტს პირველი ვიზიტის დრო, ან აუხსნას, მისი განაცხადი რატომ არ იყო მიღებული.

კლიენტთან ვიზიტი – მოიცავს განაცხადის მონაცემების ადგილზე

მოპოვებას და გადამოწმებას, რათა გამოვლინდეს მსესხებლის გადახდისუნარიანობა. კლიენტის, მისი ბიზნესისა და ოჯახის შესახებ ხარისხიანი ინფორმაცია არის ძირითადი მოთხოვნა მართვის შესაძლებლობებისა და მიღებული ინფორმაციის სისწორის შეფასებისთვის. რაოდენობრივი ინფორმაცია ქმნის საფუძველს ბიზნესის და მთლიანად მეურნეობის სამომავლო ფულის ნაკადის, აქტივების და პასივების დეტალური ანალიზისთვის.

კრედიტის შეფასება – ადგილზე მოპოვებული ინფორმაცია ბიზნესისა და ოჯახის შესახებ გადის ანალიზს და სტრუქტურირებას გონივრული სასესხო გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

ყველა საჭირო ინფორმაციის შეგროვების შემდეგ საკრედიტო ოფიცერი ამზადებს შეფასების ანგარიშს, რომელსაც წარადგენს საკრედიტო კომიტეტზე და რომელზეც თავად აგებს პასუხს.

სასესხო გადაწყვეტილება – როგორც წესი, სასესხო გადაწყვეტილებას იღებს საკრედიტო კომიტეტი. საკრედიტო კომიტეტის წევრების რიცხვი დამოკიდებულია სესხის მოცულობაზე. პატარა თანხებზე გადაწყვეტილების მიღება მიკროდაფინანსების სფეროში მომუშავე ბევრმა დაწესებულებამ წარმატებულად გადასცა საკრედიტო ოფიცერებს. ხოლო, დიდი მოცულობის სესხები როგორც წესი, განსახილველად გადაეცემა მმართველობას.

სესხის გაცემა – საკრედიტო კომიტეტის გადაწყვეტილებაზე მიღებისთანავე აცნობენ კლიენტს. ვინაიდან, სესხის დროული მიღება ძირითადი ფაქტორია მცირე შემოსავლის მქონე კლიენტისთვის. საკრედიტო კომიტეტის გადაწყვეტილებიდან სახსრების გაცემის მომენტამდე დრო მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი.

არსებობს სესხის გაცემის სხვა-

დასხვა ფორმები. შეიძლება სესხის პირდაპირ კლიენტისთვის გაცემა ნაღდი ფულით. მაგრამ, იმის უზრუნველსაყოფად, რომ სესხი მოხმარებული იქნება მხოლოდ იმ მიზნობრიობისთვის, რომელიც მითითებულია სასესხო ხელშეკრულებაში, ბევრ დანესებულებას ურჩევნია ფულის ნაწილი გადაურიცხოს პირდაპირ მომწოდებელს, რათა თავიდან აიცილოს დიდი თანხის გაჩერება კლიენტის ხელში. ეს ხდება დიდი ინვესტიციების დაფინანსებისას.

შემდგომი ღონისძიებები/მონიტორინგი დაფარვის პერიოდში – დაფარვის დროული უზრუნველყოფისთვის საჭიროა მკაცრი კონტროლი.

არსებობს რამდენიმე მეთოდი, რომლის მიხედვით საფინანსო დანესებულებას შეუძლია იმოქმედოს დაფარვის პროდუქტიულობაზე:

- **ოფისები განლაგებულია იმ ბაზართან ახლოს, სადაც იყიდება პროდუქტები;**

- **სამუშაო საათები ძალიან მოქნილია და ითვალისწინებს მუშაობას საღამოს საათებსა და შაბათ-კვირას;**

- **საკრედიტო ოფიცრები რეგულარულად უკავშირდებიან მსესხებელს და ამყარებენ მასთან კარგ ურთიერთობას;**

- **მობილურ ჯგუფებს შეუძლიათ გაზარდონ ფინანსური მომსახურების მისაწვდომობა და კლიენტთა კარგი განწყობა.**

რაც შეეხება, მსესხებლის მონიტორინგს, იგი შეიძლება განხორციელდეს პირდაპირი და ირიბი მონიტორინგის გზით.

პირდაპირი მონიტორინგი ტარდება, როდესაც საკრედიტო ოფიცერი ესტუმრება კლიენტს ადგილზე საკრედიტო ციკლის განმავლობაში. ძირითადად, ამით შეიძლება დანებით ეტაპზე განისაზღვროს პოტენციური პრობლემები, რომლებიც შეაფერხებენ შენატანს, ან მთლიან დაფარვას.

ირიბი მონიტორინგი ტარდება შენატანის დროს. ირიბი მონიტორინგის ძალიან პოპულარული მეთოდია **დროული შენატანების მონიტორინგი**. როგორც კი შენატანი გადადის ვადაგადაცილების კატეგორიაში, საჭიროა სტრუქტურული შეცვლა და სტანდარტამდე დაყვანილი პროცედურის განხორციელება.

სესხის დაფარვა – ბოლო გადახდა აღნიშნავს სესხის სრულ დაფარვას. დღეისთვის დადგენილია, რომ სასარგებლოა კლიენტის საერთო სასესხო შესრულების რეიტინგის შექმნა. ეს რეიტინგი შეიძლება გამოყენებულ იქნას სამომავლო სასესხო გადანყვეტილებებისთვის და შეიძლება იმოქმედოს ახალ სესხზე გადანყვეტილების მიღების პროცესზე.

ბებისთვის და შეიძლება იმოქმედოს ახალ სესხზე გადანყვეტილების მიღების პროცესზე.

აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ კრედიტორის და მსესხებლის ურთიერთობა არ მთავრდება სესხის დაფარვასთან ერთად. სესხის დაფარვის შემდეგ საკრედიტო ოფიცერი უნდა დაელაპარაკოს კლიენტს სესხების, ან სხვა ფინანსური პროდუქტების თაობაზე.

დღეისათვის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დაფინანსება საქართველოში შესაძლებელია ორი ძირითადი მეთოდით. ესენია **ბანკები** და **მიკროსაფინანსო ორგანიზაციები**. ძალიან მცირე მასშტაბით სოფლის მეურნეობის დაფინანსებაში მონაწილეობას იღებენ **საკრედიტო კავშირები**, თუმცა, მათი რაოდენობა მხოლოდ ერთი, ან რამდენიმე სოფლით, ან რაიონით შემოიფარგლება.

საქართველოში მოქმედი ყველა საფინანსო ინსტიტუტი აღნიშნავს, რომ აგროკრედიტებზე დიდი მოთხოვნაა. აგროკრედიტის საპროცენტო განაკვეთის ოდენობა განსხვავდება საფინანსო ორგანიზაციების მიხედვით (**იხ. ცხრილი**).

ზემოთ მოყვანილი კვლევები გვიჩვენებს, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საპროცენტო განაკვეთები ზოგადად უფრო მაღალია, ვიდრე, ბანკებისა. მიუხედავად ამისა, აგროკრედიტებს ყველაზე აქტიურად მიკროსაფინანსო ორგანიზაციები გასცემენ. ამ მონაცემებით, საშუალო საპროცენტო განაკვეთი 32%-ია, ამასთან, დიდი მოცულობის სესხებზე განაკვეთი 26%-ს შეადგენს, ხოლო მცირე მოცულობის სესხებისთვის საშუალო საპროცენტო განაკვეთი 38%-ია.

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ფინანსური რესურსების ნაკლებობა სერიოზული პრობლემაა. ამ პრობლემაში სოფლის მეურნეობაში საინვესტიციო კაპიტალის შესვლა უკიდურესად მნიშვნელოვანია.

საპროცენტო განაკვეთების ოდენობა

საფინანსო ორგანიზაცია	მინიმალური საპროცენტო განაკვეთი	მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი
პროკრედიტ ბანკი	16	36
ს.ს. საქართველოს ბანკი	17	36
ბანკი კონსტანტა	30	48
ფინარგო	18	36
ლაზიკა კაპიტალი	24	36
ლიხაურის საკრედიტო კავშირი	36	36
მერიის საკრედიტო კავშირი	36	36
ფინკა საქართველო	38	42

АНОТАЦИЯ

ОСНОВНЫЕ ПРИНЦИПЫ АГРОКРЕДИТОВАНИЯ

Тамар Маргиани

В статье рассмотрены основные особенности, характерные для кредитования сельскохозяйственного сектора, которые в свою очередь обеспечивают успех в деле агрокредитования. Здесь же упомянуто о необходимости правильного понятия сельскохозяйственного рынка, что является основным предпосылкой для выдачи кредитов фермерским хозяйствам; о правильном составлении цикла кредита, который предусматривает отношения

между кредитором и финансовой организацией, чем и обеспечивается своевременная выплата кредита; упомянуты банки и микрофинансовые организации, действующие на территории Грузии и выдающие агрокредиты по разным процентам и определена сумма, которая необходима для того, что б кредитный ресурс Грузии сравнился с объемом кредитования каждого уровня сельскохозяйственного сектора Соединённых Штатов Америки.